სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა “	1. 204952676	1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
2.	2.	2.
3.	3.	3.
4.	4.	4.
5.	5.	5.
6.	6.	6.
7.	7.	7.
8.	8.	8.
9.	9.	9.
10.	10.	10.
11.	11.	11.
12.	12.	12.
13	13	13
14.	14.	14.
15.	15.	15.
16.	16.	16.
17.	17.	17.
18.	18.	18.
19.	19.	19.
20.	20.	20.
21.	21.	21.
22.	22.	22.
23.	23.	23.
24.	24.	24.
25.	25.	25.
26.	26.	26.
27.	27.	27.
28.	28.	28.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				1. greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

1.1. ნინო გუჯარაიძე 1.2. ირმა მახათაძე		1.1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. 1.2. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		დ. აღმაშენებლის გამზ.150, 0112 თბილისი
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	+995 32 2439503 +995 32 2439510			info@nea.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

„ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება.

2023 წლის 6 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გასცა სკოპინგის დასკვნა შპს „გეო ენერჯის“ პროექტზე, რომელიც თბილისში, ქვემო ფონიჭალის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე, საცხოვრებელი სახლებიდან 200 მეტრის დაშორებით, ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას ითვალისწინებს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით.

საპროექტო ტერიტორიაზე ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობა ეწინააღმდეგება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმას. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, ამ ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ფეროშენადნობთა საწარმო, კი, გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისათვის მაღალის რისკის მქონე ობიექტია.

საგულისხმოა, რომ სკოპინგის განცხადების განხილვის პროცესში საწარმოს დათვალიერებისას გაირკვა, რომ შპს „გეო ენერჯიმ“ საწარმო უკვე უკანონოდ მოაწყო და საჯარო უწყებისა და დაინტერესებული საზოგადოების მოტყუებით ცდილობდა სკოპინგის დასკვნის მოპოვებას. თუმცა, ეს ფაქტი არ გამხდარა სააგენტოს რეაგირების საგანი. მეტიც, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სკოპინგის დასკვნის გაცემისათვის მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება არ შეუწყვეტია და 2023 წლის 6 თებერვალს უკვე მოწყობილ საწარმოზე ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გასცა სკოპინგის დასკვნა.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევით და დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის გარეშე.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის არსებითი დარღვევით და უხეშად არღვევს დაინტერესებული პირების, მათ შორის ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას და

კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რის გამოც წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2022 წლის 14 თებერვალს შპს „გეო ენერჯიმ“ მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადებით. 2022 წლის 7 მარტის N 2205/01 წერილის საფუძველზე, სამინისტრომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობიდან წარმოდგენილი იქნა N39-01220632963 კორესპონდენცია, რომელსაც დანართის სახით თან ერთვის, ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი N16-01220631965. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ №01.18.13.033.132; №01.18.13.033.133) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), ს/კ №01.18.13.033.132 მცირედ ნაწილზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; **ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის,** კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. სპეციალური ზონა-ში (ს-1), სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში **ს-1-ში ფეროშენადნობი ქარხანა არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მოცემულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას არ განიხილავს“.**

მტკიცებულება - დანართი 1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2022 წლის 16 თებერვალს გამოქვეყნებული განცხადება; დანართი 2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის N 2205/01 წერილი.

2. ფაქტობრივი გარემოება

2022 წლის 14 ივნისს იგივე მოთხოვნითა და სკოპინგის ანგარიშით შპს „გეო ენერჯიმ“ მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (2022 წლის მაისიდან სამინისტროს უფლებამონაცვლე გარემოსადცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებაში). მხოლოდ სკოპინგის განცხადებაში დამატებით იყო აღნიშნული, რომ მას შემდეგ რას სამინისტრომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ პროექტზე მოსაზრების წარმოდგენის მოთხოვნით მიმართა ქ. თბილისის მერიას.; ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა კი თავის პასუხში მიუთითა, რომ არ არის წინააღმდეგი მოთხოვნილ მიწის ნაკვეთებზე გაიცეს ფეროშენადნობის ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, **„იმ შემთხვევაში, თუ შპს „გეო ენერჯი“-ს მიერ განსათავსებელი ობიექტი არ წარმოადგენს ისეთ ობიექტს, რომელშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები“.**

2022 წლის 29 ივნისს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ იგივე მიზეზით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო:

„ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა წერილი N16-0122174938, რომლის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.18.13.033.139) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა (ტზ-1). **ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით, ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში ს-1-ში ფეროშენადნობი ქარხანა არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას.** დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხვდება ასევე თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტთან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“.

მტკიცებულება - დანართი 3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებული განცხადება; დანართი 4. შპს „გეო ენერჯის“ სკოპინგის განცხადება; დანართი 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 24 მაისის წერილი. 6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 ივნისის წერილი.

3. ფაქტობრივი გარემოება

2022 წლის 12 დეკემბერს იგივე მოთხოვნით შპს „გეო ენერჯიმ“ კვლავ მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. 2022 წლის 16 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა „სკოპინგის განცხადება - ქ. თბილისში შპს „გეო ენერჯის“ მიერ ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების **საწარმოს მოწყობა** და ექსპლუატაცია“. სკოპინგის განცხადება არ გამოქვეყნებულა შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.

ამჯერადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.18.13.033.139, მოქმედ ფუნქციურ ზონასა და შეზღუდვებთან დაკავშირებით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს აცნობა, რომ „დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №№01.18.13.033.139) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა (ტზ-1). ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; **ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის,** კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. სპეციალური ზონა-ში (ს-1), სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.

მტკიცებულება - დანართი 7. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნებული განცხადება; დანართი 8. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 დეკემბრის წერილი

4. ფაქტობრივი გარემოება

2022 წლის 21 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება შპს „გეო ენერჯის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება არ

გამოქვეყნებულა შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი).

მტკიცებულება - დანართი 9: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 21 დეკემბერს გამოქვეყნებული განცხადება

5. ფაქტობრივი გარემოება

როგორც მოგვიანებით გაირკვა, შპს „გეო ენერჯის“ კანონის დარღვევით უკვე მოწყობილი ჰქონდა საწარმო, როდესაც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის განცხადება წარადგინა. თუმცა, ამის შესახებ შპს „გამა კონსალტინგმა“ მიუთითა სკოპინგის ანგარიშში და არც შპს „გეო ენერჯის“ დირექტორმა სკოპინგის განცხადებაში. მეტიც, როგორც საჯარო სხდომის ოქმიდან ირკვევა, 2023 წლის 12 იანვარს, ქ. თბილისის 218-ე საჯარო სკოლის შენობაში ჩატარებულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოებას ფეროშენადნობების **მოწყობა-ექსპლუატაციის** სკოპინგის ანგარიში პრეზენტაციის სახით გააცნო შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა. მომხსენებლის განმარტებით, ფეროშენადნობების საწარმოს **მოწყობა**-ექსპლუატაცია დაგეგმილია ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „გეო ენერჯის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. მომხსენებლის განმარტებით, საპროექტო საწარმოში **იგეგმება** ერთი 7 მგვტ. სიმძლავრის ღუმელის მონტაჟი. საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ სააგენტოს წარმომადგენელი, შპს „გეო ენერჯის“ წარმომადგენელთან ერთად იმყოფებოდა საპროექტო ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება და დასურათება. ტერიტორიის დათვალიერების შედეგები და სურათები არ არის დართული 2023 წლის 12 იანვრის საჯარო სხდომის ოქმზე და არც იმის შესახებაა ოქმში აღნიშნული, რომ საწარმო დათვალიერებისას უკვე მოწყობილი იყო.

მტკიცებულება - დანართი 10. 2023 წლის 12 იანვრის საჯარო სხდომის ოქმი.

6. ფაქტობრივი გარემოება

2023 წლის 17 იანვარს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შეატყობინა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომ „შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობების საწარმოო ინფრასტრუქტურა/დანადგარები უკვე მოწყობილია“.

2023 წლის 7 თებერვალს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა აცნობა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს: „ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს "გეო ენერჯი"-ს მიერ, ფეროშენადნობთა საწარმოს სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები განხორციელებულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის ფაქტზე, 2023 წლის 1 თებერვალს, შპს "გეო ენერჯი"-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №072923 ოქმი, რომელიც დეპარტამენტის 2023 წლის 6 თებერვლის №DES 8 23 00007619 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას’.

მტკიცებულება - დანართი 11. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი N 21/159, 17/01/2023; დანართი 12. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 7 თებერვლის #DES 2 23 00007929 წერილი.

7. ფაქტობრივი გარემოება

არც სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და არც სსდ გარემოსადცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს არ დაუყენებიათ შპს "გეო ენერჯის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ პასუხისმგებლობის საკითხი სკოპინგის დასკვნის საჯარო უწყებისა და მოქალაქეების მოტყუების გზით მოპოვების მცდელობის გამო და აღნიშნულის თაობაზე არ მიუმართავთ სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

მეტიც, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სკოპინგის დასკვნის გაცემისათვის მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება არ შეუწყვეტია და 2023 წლის 6 თებერვალს უკვე მოწყობილ საწარმოზე **ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა** და ექსპლუატაციაზე გასცა სკოპინგის დასკვნა.

მტკიცებულება - დანართი 13. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება.

8. ფაქტობრივი გარემოება

შპს „გეო ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მიმდინარე საქმიანობის პროცესში დასაქმებული იქნება 30-მდე კაცი (სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში 8760 საათი, სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში 24 საათი, წელიწადში 365 დღე) რომელთა უმრავლესობა იქნება ადგილობრივი მცხოვრებლები. შესაბამისად, პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით“. საჯარო განხილვაზე კი კომპანიის (შპს „გეო ენერჯი“) წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაგეგმილია 130 ადამიანის დასაქმება.

მტკიცებულება - დანართი 10. 2023 წლის 12 იანვრის საჯარო სხდომის ოქმი. დანართი 14. სკოპინგის ანგარიში;

9 . ფაქტობრივი გარემოება

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ისე გასცა სკოპინგის დასკვნა, რომ ვერ დაადგინა უახლოესი დასახლებული პუნქტსა და საპროექტო ტერიტორიას შორის მანძილი და საკითხის გზშ ეტაპზე დაზუსტება დაავალა კომპანიას.

მტკიცებულება - დანართი 13. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება.

10 . ფაქტობრივი გარემოება

მიუხედავად იმისა, რომ სკოპინგის დასკვნის გაცემისას საწარმო უკვე მოწყობილია გარემოს ეროვნული სააგენტო საწარმოს მოწყობის საკითხს კვლავ დაგეგმილად წარმოაჩენს და ნაცვლად არსებული სიტუაციის აღწერისა, მიმოიხილავს კომპანიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას - რომ თითქოსდა მოხდა საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის განხილვა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხების გათვალისწინებით შეირჩა საუკეთესო, რომელზეც დაგეგმილია (და არა უკვე მოწყობილია) საწარმოს მოწყობა. საჯარო განხილვაზე კი, ადგილობრივების კითხვის პასუხად ალტერნატიულ ადგილას ქარხნის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე, შპს „გეო ენერჯის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტერიტორია, რომელზედაც საწარმოს განთავსება იგეგმება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და კომპანიის კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

მეტიც, მოწყობილი საწარმოს პირობებში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შპს „გეო ენერჯის“ დაავალა გზშ ეტაპზე წარმოადგინოს: „გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ნაწილში), სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები“.

სკოპინგის დასკვნაში ყოველგვარი განმარტების გარეშე აღნიშნულია: „სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ფეროშენადნობების საწარმოს ინფრასტრუქტურა/დანადგარები უკვე მოწყობილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში“. ფაქტი ისეა აღწერილი, თითქოს, მას გავლენა არ უნდა ჰქონოდა მიმდინარე პროცესზე.

მტკიცებულება - დანართი 10. 2023 წლის 12 იანვრის საჯარო სხდომის ოქმი. დანართი 13. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება.

11 . ფაქტობრივი გარემოება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ეტაპზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია ადგილობრივი მოქალაქეების პოზიციის ამსახველი წერილი. კერძოდ წერილში აღნიშნულია, რომ საჯარო განხილვას დაესწრო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი; რომ საწარმოს მშენებლობა დაგეგმილია მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის უშუალო სიახლოვეში, რაც დაუშვებლად მიაჩნიათ.

მტკიცებულება - დანართი 15. მოქალაქეების მიერ 2022 წლის 13 იანვარს წარდგენილი შენიშვნები.

12 . ფაქტობრივი გარემოება

სააგენტო სკოპინგის დასკვნაში არაფერს ამბობს მთავრ შემზღუდველ გარემოებაზე, რომლიც უკვე ორჯერ გახდა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის მიზეზი. სკოპინგის დასკვნაში არ არის წარმოდგენილი დასაბუთება იმისა, თუ რატომ განიხილა ამ ჯერ სააგენტომ წარმოდგენილი სკოპინგი განცხადება და მიიღო ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთზე, რომელზეც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და შესაბამისად, აკრძალულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესების რისკის მქონე საწარმოს მშენებლობა. ასევე, არ არის განმარტებული უკვე მოწყობილ საწარმოზე საწარმოს მოწყობის პროექტის განხილვისა და სკოპინგის დასკვნის გაცემის საჭიროებისა და შესაძლებლობის დასაბუთება.

მტკიცებულება დანართი 13. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება.

13 . ფაქტობრივი გარემოება

ქ. თბილისში შპს „გეო ენერჯის“ მიერ ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ ბრძანებისა და მისი გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები „მწვანე ალტერნატივას“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 14 მარტს გადაეცა.

მტკიცებულება დანართი 16. „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 8 მარტის #23/02-387 წერილი; დანართი 17. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 13 მარტის #21/1678 წერილი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

1.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მაშასადამე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა.

1.2. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელებას და იქვე განსაზღვრავს, რომ უფლებამოსილებით გადამეტებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არ აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

1.3. ადმინისტრაციული აქტის მიღებისას დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება გულისხმობს შესაძლებლობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად აირჩიოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული რამდენიმე ღონისძიებიდან კონკრეტული ვითარებისათვის ყველაზე უფრო მისაღები სამართლებრივი შედეგი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილება არის „უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ერთი მხრივ, დაცული უნდა იქნეს იმ ნორმის ფარგლები, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება; ხოლო, მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს, ზოგადად, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

1.4. სზაკ-ის 7.1 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

1.5. სზაკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთანავე, კოდექსის იმავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:
ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;
ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

გასაჩივრებული აქტი არ მოიცავს დასაბუთებას. არცერთი ჩამოთვლილი გამონაკლისიდან მოცემულ შემთხვევაში არ არის რელევანტური, პირიქით, გასაჩივრებული აქტი ზღუდავს დაინტერესებული საზოგადოების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; დაინტერესებული საზოგადოებისათვის უცნობია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და არც კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება აღქმული არ იქნეს თვითნებობად, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

როგორც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე N3ბ/1944-15 - „აქტის დასაბუთებულად მიჩნევისათვის სრულებითაც არ კმარა მასში მხოლოდ კანონმდებლობის ცალკეული ნორმების მოხმობა, რადგან, დასაბუთება გულისხმობს როგორც სამართლებრივ, ასევე ფაქტობრივ დასაბუთებას. ... აქტის დასაბუთება კი დიდწილად განაპირობებს აქტის კანონიერებას“.

1.6. სზაკ-ის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ფაქტობრივ გარემოებებში აღწერილი ყველა ფაქტი ნათლად წარმოაჩენს, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ არ შეასრულა მისი ვალდებულება - გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც შეიძლება გამხდარიყო საფუძველი განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების. რაც ზოგად ადმინისტრაციული კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

1.7 სზაკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ **აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ.** განსახილველ შემთხვევამდე წარდგენილი განცხადების განხილვისათვის მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა იმ მიზეზით, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.18.13.033.139) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), სადაც ფეროშენადნობი ქარხანა არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას. ეს გარემოება დღესაც მოქმედია.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილება

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს.

დადგენილების მე-16 მუხლის უ) ქვეპუნქტის თანახმად, ს-1 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, **რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები**; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება.

დადგენილების #1 დანართით დამტკიცებული „ქალაქთმშენებლობითი ზონების ტერიტორიების გამოყენების დაშვებული სახეობების ჩამონათვალის“ თანახმად, სპეციალური ზონა-ში (ს-1), სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ფეროშენადნობების წარმოება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მაღალის რისკის მქონე ობიექტად განიხილება, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილების თანახმად, ეს არის ობიექტი, რომლიც **ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით.**

ამდენად, საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში ს-1-ში ფეროშენადნობი ქარხანა, არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს არც კი უნდა განეხილა შპს „გეო ენერჯის“ სკოპინგის განცხადება.

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:

3.1 გარემოსადცვითი შეფასების კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, კოდექსის მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე;

ბ) ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის დროულად მიღების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების რეალიზაცია, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა;

გ) სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე.

შესაბამისად, ის რომ შპს „გეო ენერჯის“ დაგეგმილი საქმიანობა - ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია - ექცევა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების სფეროში უკვე ნიშნავს, რომ საქმიანობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე. ხოლო, ის ფაქტი, რომ „თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით“ - არის კოდექსის პირველი დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ჩამონათვალში, მიანიშნებს რომ ამ უარყოფითი ზემოქმედების რისკი არის მაღალი.

3.2 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სკოპინგის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:
ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;

ბ) გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

მე-14 მუხლით განსაზღვრული ორივე პირობა სახეზე იყო გასაჩივრებული აქტის გამოცემისას და სამინისტრო ვალდებული იყო მიეღო გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
4.1 „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად:
მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;

ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება “გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით ჩვენთვის მონიჭებული ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა ჩვენი საარსებო გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

5. საქართველოს კონსტიტუცია
5.1 საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად:
ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. **ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე.**

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი თავისუფლად სარგებლობის უფლებები ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება გარემოს დაცვაზე ზრუნვის ჩვენი უფლების უგულებელყოფით მოხდა. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილებების წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი

თაობების წინაშე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის უზრუნველსაყოფის შესახებ მისი ვალდებულება.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება სწორედ სახელმწიფოების გარემოსდაცვითი ვალდებულებებიდან წარმომდგარი უფლებაა, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ყველა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, იცხოვროს მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უვნებელ გარემოში, ჰქონდეს სრული ინფორმაცია თავისი საცხოვრებელი გარემოს შესახებ და, მეორე მხრივ, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ეკონომიკური პროგრესი შეუსაბამონ გარემოსდაცვით საჭიროებებს და იმგვარად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები, რომ დაცული იყოს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესები.

გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია კონსტიტუციის ძველის რედაქციით 37-ე მუხლის დანაწესებზე, თუმცა აქტუალურია ახალი რედაქციით 29-ე მუხლთან მიმართებაშიც. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის №2/1/524 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს: „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის შინაარსი უნდა განმარტოს ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის შინაარსის გათვალისწინებით. ამავდროულად, კონსტიტუციური უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას, უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე ხელმისაწვდომობის სტანდარტით. კონსტიტუციის აღნიშნული დებულებებით დაცული ვერ იქნება პირის უფლება, იცხოვროს მისთვის კომფორტულ ან/და ესთეტიკურად მისაღებ გარემოში და სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულის უზრუნველყოფა. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების მიზანია, ყველამ იზრუნოს არსებულ ბუნებრივ გარემოზე და სახელმწიფოსგან მოითხოვოს მისი დაცვა. გარემო პირობების მზარდმა დეგრადაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გარდაუვალი გახადა ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი მიუთითებს, რომ `ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში” და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები მხოლოდ გარემოს დაცვისაკენ მიმართულ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპად იქნეს განხილული. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს. ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულებების განმარტებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი და დანიშნულება. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიმართულია ბუნებრივი გარემოსთვის რეალურ დროში არსებული საფრთხეების და გარემოსათვის მიყენებული ზიანის შეძლებისდაგვარად თავიდან აცილების ან/და გამოსწორებისაკენ. აღნიშნულისგან განსხვავებით, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი **შეეხება მომავალი თაობების ინტერესების დაცვის საჭიროებას და მიუთითებს, რომ ბუნებათსარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისე, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების პარალელურად დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო შენარჩუნდეს.** შესაბამისად,

ბუნებაზე ზემოქმედების შეზღუდვასთან დაკავშირებით, 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების სფეროს შესაძლებელია წარმოადგენდეს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოსათვის დღეს არსებული (გარემოს სტატუს-ქვოსთვის შემცველი) საფრთხეების თავიდან აცილება, არამედ სამომავლო საფრთხეებისგან თავის დაცვაც“.

აქვე გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საქმეზე „შპს „მადაი“ და შპს „პალიასტომი 2004“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის წინააღმდეგ, N1/3/611, 30 სექტემბერი, 2016 წ.

„კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ერთი მხრივ, ადგენს თითოეული ინდივიდის უფლებას, „სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრავს მის თანმდევ ვალდებულებას, ცხოვრებისა და საქმიანობის პროცესში გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს[1]. აღნიშნული დანაწესი განამტკიცებს ინდივიდის უფლებას იმ გარემოზე, რომელიც, თავისთავად, ადამიანის ზემოქმედების გარეშე არსებობს და, იმავდროულად, ადგენს მის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ამგვარი სახით არსებულ გარემოს, მაქსიმალურად შეინარჩუნოს იგი ხელოვნური ზემოქმედებისგან თავისუფალ მდგომარეობაში“.

6. კონვენცია „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ **კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების** მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების გამოცემის შესახებ.

6.1 კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის **1-ლი მუხლის** თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების** გარანტიას“.

6.2 კონვენციის **მე-3 მუხლის** მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის

[1] დღეს მოქმედი რედაქციით „მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება 1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე“.

შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად,
1. თითოეული მხარე:

ა) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;

2. ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და საქმიანობა შედის კონვენციის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;

ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;

ც) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:

I) პროცედურის განხორციელების დაწყება;

II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;

III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;

IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;

V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;

VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;

a) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით;

b) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;

c) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;

d) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;

e) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;

f) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“.

როგორც მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან ნათელია, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

7. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, გთხოვთ, შეაჩეროთ - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების მოქმედება წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

არგუმენტაცია:

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ ნაწილით უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება. სამართლიანი სასამართლოს უფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ადამიანის სრულყოფილი სამართლიანი დაცვა, ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა(საქართველოს უზენაესი სასამართლო, Nბს-1013-1009(2კს-17), 22.02.2018 წ.).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. საქმე შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“). სხვა საქმეში ევროსასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ - ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (იხ. Hornsby, cited above, §§ 40 and seq.).

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც უფლების დაცვის რეპრესიულ, ასევე უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებებს. უფლების დაცვის წინასწარი საშუალების მთავარი მიზანი დაინტერესებული მხარისათვის იმგვარი შესაძლებლობის მიცემაა, რომლითაც მას საკუთარი ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული წარმოების ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების დამთავრებამდე შეეძლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებებს აქვთ დარღვეული უფლების აღდგენის დაცვის წინასწარი უზრუნველყოფის, გარანტიის ფუნქცია.

განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება, კერძოდ, გასაჩივრების შემდგომ, საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ან სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი დაცვის ღონისძიება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

საყურადღებოა, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება ხდება მხარის შუამდგომლობის გარეშე - კანონისმიერად, რასაც განაპირობებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი - სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას;

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეაჩეროთ - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების მოქმედება.

1. მოთხოვნა

სასკ-ის 29-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, გთხოვთ, შეაჩეროთ - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების მოქმედება წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

არგუმენტაცია

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი დაცვის ღონისძიება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ უნდა შეჩერდეს სასკ-ის 29.1 მუხლის საფუძველზე იმიტომ, რომ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შესაჩერებელი ადმინისტრაციული აქტების ჯგუფს, წარმოვადგენთ სასკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე დასაბუთებულ შუამდგომლობას „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობისას, კერძოდ: 1. თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე; 2. თუ აქტის გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან/და 3. გადაუდებელი აღსრულება შეუძლებელს გახდის მხარის კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

ამდენად, იმისათვის, რომ დადგენილ იქნეს ისეთი ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რომელიც მოქცეულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში და სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად ავტომატურად არ ჩერდება, მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს **დასაბუთებული შუამდგომლობა სადავო აქტის უკანონობისა ან/და პირის კანონიერი უფლების დარღვევის შესახებ.**

სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც დამტკიცებულია საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სამართლებრივი დასაბუთებით ცალსახად დასტურდება, რომ ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონმდებლობის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით არის გამოცემული, **ანუ სახეზეა დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე.** ამასთან, თუკი, შპს „გეო ენერჯი"ისარგებლებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების მინიჭებული უფლებით და შემდეგ ეტაპზე მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას **საწარმოს ფუნქციონირების შედეგად არსებითი ზიანი ადგება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებასა და ინტერესებს. შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი ადგება ბუნებრივ გარემოს და საფრთხე ექმნება ადგილობრივთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია, რის გამოც, გთხოვთ:

სასკ-ის 29-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, შეაჩეროთ „ქ. თბილისში, ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის" ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების მოქმედება წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☒	

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე??	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.	

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☐	მტკიცებულება:
არა	☒	რადგან გასაჩივრებული აქტის - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანების თანახმად, „ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში“.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2022 წლის 16 თებერვალს გამოქვეყნებული განცხადება - 1 ფურცელი;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის N 2205/01 წერილი - 2 ფურცელი;
3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებული განცხადება - 1 ფურცელი;
4. შპს „გეო ენერჯის“ სკოპინგის განცხადება - 2 ფურცელი;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 24 მაისის წერილი - 4 ფურცელი.
6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 ივნისის წერილი - 2 ფურცელი;
7. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნებული განცხადება - 2 ფურცელი;
8. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 დეკემბრის წერილი - 2 ფურცელი;
9. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე 2022 წლის 21 დეკემბერს გამოქვეყნებული განცხადება - 2 ფურცელი;
10. 2023 წლის 12 იანვრის საჯარო სხდომის ოქმი - 6 ფურცელი;
11. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი N 21/159, 17/01/2023 – 1 ფურცელი;
12. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 7 თებერვლის #DES 2 23 00007929 წერილი - 7 ფურცელი;
13. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის #68/ს ბრძანება - 14 ფურცელი;
14. სკოპინგის ანგარიში -61 ფურცელი;
15. მოქალაქეების მიერ 2022 წლის 13 იანვარს წარდგენილი შენიშვნები - 4 ფურცელი.
16. „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 8 მარტის #23/02-387 წერილი - 1 ფურცელი ;

17. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 13 მარტის #21/1678 წერილი - 2 ფურცელი;
18. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი;
19. რწმუნებულება - 2 ფურცელი;
20. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 119 ფურცელი.

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე აღმასრულებელი დირექტორი ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა	
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.